



საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 362/ი

15 05 2019წ.

ქ. თბილისი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის
დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2019 წლის 14 მაისის №560540 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2017 წლის 16 მარტის №194 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა.“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულების უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებელი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული დარგობრივი მახასიათებელი ამოქმედდეს 2020 წლის 1 ივნისიდან.
3. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკაძე